ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერცხლის მენდალი: კვალითის წმ. ბარბარეს ეკკლესიის მნათეს, 2 გილდის ვაჭარს ხუსკივაძეს

## ხოლერის წამლობის შესახებ

დამსახურებულმა პროფესორმა ზდეკაუერმა გაზ. „Новое Время“-ში დაჰბეჭდა წერილი ექიმთა მიმართ, მაგრამ ამ წერილიდგან არა-ექიმნიც ბევრს სასარგებლო ცნობას ამოიკითხავენ:

„რა-კი ჩვენს განაპირა ადგილებში, თურქესტანის ოლქში, აზიის ხოლერამ იჩინა თავი, ამიტომ ჩემს მოვალეობადა ვსთვლი გავუზიარო ჩემს ამხანაგებს ჩემი გამოცდილება ხოლერის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში, მით უმეტეს, რომ ოთხს ხოლერას მოვსწრებივარ და ერთის მათგანის დროს-კი, 1866 წ., უმთავრესი გამგე საქმისა მე ვიყავი. იმითი დავიწყებ, რომ ხშირი სიკვდილი (40—60%) ამ სენისაგან იმიტომ მოხდება ხოლმე, რომ სენს დასაწყისშივე არ ვუწყებთ ბრძოლას; სულ იმ ცრუმორწმუნების ბრალია, რომ ექიმებიცა და არა ექიმებიც ხოლერად მხოლოდ ამ სენის გამწვავებულს მდგომარეობასა სთვლიან, ესრედ წოდებულს Stadium algidum, რომელიც ძნელად-და მოსარჩენ-განსაკურნავია. ასეთი მავნე ცრუ რწმენა არც ერთ ავადმყოფობის შესახებ არა არსებობს. ხოლერის თანდათანს განვითარებას რომ თვალ-ყური ადევნოთ, ადვილად დარწმუნდებით, რომ ამ სენს წინ უძღვის და უსწრობს სხვა-და-სხვა გვარი სტომაქის მოშლილობა, რომელიც ადვილად ასაცილებელია თავიდგან სამკურნალო საშუალებანით და რომელსაც, თუ ადრევე არ ვუპატრონეთ, აუცილებლად ხოლერა მოჰყვება. ჩემის აზრით, სენის დაწყებამდე მისი მოახლოვება ოთხ გვარად იჩენს ხოლმე თავს: 1) ხოლერის დროს მცხოვრებლების სტომაქი იმდენს საჭმელს ველარ იტანს და ჩვეულებრივად რომ სჭამონ, კუჭი ეშლებათ. როდესაც ავადმყოფს გული ერევა, აზიდებს და მუცელი გავსებულად მიაჩნია, რომელიც სავსე აქვს ბევრის და, ვინ იცის, იქნება, სუქანის, ძნელად მოსანელებელ საჭმლითაც, ამ დროს ძალიან ჰშველის პირს-სასაქმებელი Epecacuanhae-სი, რომელსაც თბილი ჩაი უნდა დააყოლონ. როდესაც გარედ გასვლა უნდათ, მუცელი უჭუყჭუყებთ, ავსუნიანი ქარი აქვთ, დიდად ჰრგებს მუცელში გასახსნელი ex oleo Ricini, ორ-ორი დრახმი საათში ერთხელ, ვიდრე წამალი გასჭრიდეს. 2) რაკი უფრო ხორცეულს საჭმელსა სჭამენ და მცენარეულობას აღარავინ ეკარება, ზოგიერთებს პირი უშრებათ, მარჯვენა ნეკნებს ქვეშ ემჭვალებათ, გარედ გასვლა უნდათ, გულს ეზიდებათ, ტკივილს ჰგრძნობენ შუბლთან, ამ დროს სასარგებლოა Potio Riveri, სოდის პარაშოკები, ლიმონადი, pulpa ანუ decoctnm Tamarindorum, acidum muriaticum, თბილი კომპრესები. 3) ძალიან ხშირია სტომაქ-ნაწლავების კატარრი, რომელსაც თან სდევს პირის სიმშრალე, გულის ზიდილი, მუცელში გახსნა, ჭიპთან ტკივილები და სალამოობით ციება. ამ დროს ძალიან ჰრგებს ზეთის ემულსიები, კალომელი 1/10 dr. ყოველს 1 1/2 და 2 საათში ერთხელ და მუცელზედ თბილი კომპრესები (ტლე). 4) ხოლერინა, რომელიც ყოველთვის წინ უძღვის ხოლერას. აქ ჰრგებს ისეთი წვეთობით სასმელი წამლები, როგორიც არის ინოზემცევისა და ბოტკინის კაპლები, რომელიც, თუ სხვა დროს იხმარეთ, დიდადა ჰკნებს.

„რაღა თქმა უნდა, რომ ყოველ ასეთ ავადმყოფობის დროს აუცილებლად საჭიროა ზომიერი ცხოვრება (ჩაის ხშირად სმა) და ლოგინში წოლა.

„თუ ხოლერის წინამორბედს სენთაც დაუწყეს წამლობა, სწორედ რომ ბევრი სიკეთე მოჰყვება ასეთს წამლობას. ამის თვალ-ნათლივ დასანახვებლად მოვიხსენიებ 1848 წლის ხოლერას, რომლის დროსაც პეტერბურგში 60,000-მდე კაცი მუცელში გახსნა, ბოლოს ყველას ხოლერა დაეწყო და ნახევარი დაიხოცა და 1866 წლის ხოლერას, როდესაც პეტერბურგში ამდენივე გახსნა მუცელში, უწამლეს და მხოლოდ 15,000 დაეწყო ხოლერა და ამათშიაც მარტო 5,000 გარდაიცვალა“.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

ტფილისის გაზეთებში ყოველ დღე იბეჭდება ცნობანი, თუ რამდენი კაცი ხდება ხოლერით ავადა ყოველ დღე. ამ ცნობებიდგანა სჩანს, რომ თუმცა მართალია, ტფილისში ხოლერა არის, მაგრამ ჯერ ისე არ არის გავრცელებული, რომ ძლიერ საშიში იყოს. ამასთანავე ისიც უნდა ვსთქვათ, რომ როგორც ტფილისის ქალაქის მმართველობა, აგრეთვე ადგილობრივი მთავრობაც ყოველ გვარ ღონისძიებასა ხმარობენ, რომ ეს სენი არ გავრცელდეს, არ გაძლიერდეს და რაც შეიძლება ნაკლები ხალხი იმსხვერპლოს. არც უნაყოფოა ეს ღონისძიებანი. ტფილისში 11 ივნისს გაჩნდა ხოლერა, მაგრამ აგერ ივნისიც დასრულდა და ჯერ ხოლერა ისე არ გაძლიერებულა, რომ საგანგებო სამკურნალო იყოს გახსნილი ავადმყოფთათვის, თუმცა სამკურნალოც მზად არის და ყოველ გვარი მოწყობილებაც. ჯერ-ჯერობით ტფილისში ისე ცოტაა ხოლერით ავადმყოფი, რომ მიხეილის სამკურნალო სრულიად საკმარისია მათთვის.

ტფილისში ყველაფერია მომზადებული ხოლერის წინააღმდეგ საბრძოლველად: მკურნალები საკმაოდ არის დანიშნული, სასანიტარო დასები გულმოდგინეთ ასრულებენ საქმეს ქალაქის დაწმენდა-დასუფთავებისას, ფულიც საკმაოდ არის გადადებული. თუ ვინიცობაა ტფილისში ხოლერა გაძლიერდა, ქალაქი დაუმზადებლად არ დახვდება.

მიუხედავად ამისა, ქალაქში გაისმის სხვა-და-სხვა უსაფუძვლო და მავნებელი ხმები. ვინ იცის, რა ჭორებს არ იგონებენ, სამკურნალოში იმიტომ მიჰყავთ ავადმყოფნი, რომ იქ უნდა მოჰკლანო და სხ. ამის შესახებ გაზეთი „Т. Л.“ სწერს:

„საჭიროდ მიგვაჩნია გაუწყოთ მკითხველთ, რომ პოლიცია და სასანიტარო მკურნალნი მოვალენი არიან, მხოლოდ მაშინ გაგზავნონ სამკურნალოში ხოლერიანი ან საეჭვო ავადმყოფი, როცა მას შემძლებარა აქვს საკუთარს სახლში თითონ იწამლოს და ან სახლი ისე აქვს მოწყობილი, რომ იქ ავადმყოფის წამლობაც ძნელია და საშიშიც არის, რომ სენი სხვასაც გადაედება. იმ შემთხვევაში-კი, როცა ავადმყოფს შემძლებაცა აქვს თავს უწამლოს, სახლიც რიგიანადა და სუფთათაც აქვს მოწყობილი, არც საშიშია, რომ ავადმყოფობა სხვებს გადაედოს, შეუძლიან თავის სახლში დარჩეს და მკურნალი მიიწვიოს“.

## უცხოეთი

**ინგლისი.** თავისს 17 ივნისს მანჩესტერს წარმოთქმულს სიტყვაში ბალფური შეეხო კლერიკალურს გავლენასაც ირლანდიაში და მოიხსენია ოდესღაც თვით გლადსტონის მიერ გამოთქმული აზრი კათოლიკე სამღვდელოების შესახებ. „მე ყოველთვის ვცდილობდი არა მეთქვარა და არა განმეცხადებინა-რაო, სთქვა ბალფურმა: ისეთი, რომ მიზეზი არავისათვის მიმეცა, ვითომ ჩემის აზრით ის კათოლიკენი, რომელნიც ირლანდიაში, ანუ მისის უდიდებულესობის საბრძანებელის რომელსამე სხვა ნაწილში, სცხოვრობენ, უფრო ნაკლებ სანდო და საიმედო ქვეშევრდომნი არიან-მეთქი გვირგვინისა მხოლოდ და მარტო იმიტომ, რომ კათოლიკეთა ეკკლესიას ეკუთვნიან. ჩემ მიერ არასოდეს ერთი სიტყვაც-კი არა თქმულა-რა ისეთი, რომ ასეთი აზრი შემომწამოს ვინმე. რამდენადაც მე თვით მიდევნებია თვალყური და შემინიშნავს და რამდენადაც ვიცი ლიტერატურა ამ საგნისა, ამ ჟამად მხოლოდ ერთი სახელმწიფო მოღვაწეა, რომელსაც ასეთი აზრი გამოუთქვამს. ეს მოღვაწე გლადსტონია. მარტო მან, ერთად-ერთმა, განაცხადა საჯაროდ, ჩვენი თანამემამულე კათოლიკენი მხოლოდ სარწმუნოების გამო იმყოფებიან ისეთს ვითარებაში, რომ მათი მოქალაქეობა განზედ არის გაყენებული და ლოგიკურად ძალას ატანენ ისეთის შუა საუკუნეთა მოძღვრებანით იხელმძღვანელონ, რომელიც სრულიად არ შეესაბამება არც გვირგვინის ქვეშევრდომობასა და არც სარწმუნოებათა შემწყნარებლობას. ეს პამფლეტი გლადსტონისა, რასაკვირველია, ირლანდიის გამო-კი არა, პაპის უცოდველობის შესახებ იყო დაწერილი, ხოლო ამითი ის მინდა ვსთქვა, რომ გლადსტონი თავისს აზრს იმ გარემოებათა შესაფერად იცვლის, რომელთა შორისაც იძულებულია იმოქმედოს. თანახმა ვარ, გლადსტონს მამაცობა და გამჭრიახობა არ აკლია და ასეთს ნაკლებულებას ვერც ვერავინ უკიჟინებს, ხოლო იმისა-კი არა მწამს-რა, როდესაც ამბობენ, რომ შორს-გამჭვრეტელიაო. ამის პასუხად მე იმას ვამბობ, გლადსტონის საირლანდიო პოლიტიკის საუკეთესო კრიტიკოსი თვით გლადსტონივეა-მეთქი. ამ ჟამად, თუ დავითვალეთ, მეოთხედ გვაძლევს იგი ირლანდიის გამწვავებულ მდგომარეობის გადამწყვეტელს წამალს. 1869 წ. ეს წამალი სახელმწიფო ეკკლესიის მოსპობა იყო; მეორედ—ირლანდიის საქმე საადგილ-მამულო კანონის შემოღებით უნდოდა გადაეწყვიტა 1870 წ. ამ ორს საკანონ-მდებლო ღონისძიებას ბევრი ღირსება აქვს და ამიტომ სრულიად არა ვკიცხავ, მაგრამ გლადსტონი იმას გაიძახოდა დაბეჯითებით, რომ ამითი ბოლო მოეღება ირლანდიის ჭირ-ბოროტსაო. ამასობაში აღმოჩნდა, რომ ამ ღონისძიებათა შემოღების შემდეგაც ირლანდიის საქმე ისევ ირლანდიის საქმედვე დარჩა. მაშინ გლადსტონმა მესამე სახსარს მიჰმართა, 1881 წლის საადგილ-მამულო კანონს, მაგრამ ამანაც მხოლოდ ხუთს წელიწადს გასტანა და 1886 წ. ირლანდიის საქმე ისევ ისეთს მდგომარეობაში იყო. ამ საშუალებამაც რომ ვერა ჰქმნა-რა, გლადსტონმა ახლა ჰომრულს მიჰმართაო“. ბალფურმა ოპოზიციის მეთაური იმ ექიმს შეადარა, რომელიც თამამად ჰხმარობს ერთს საშუალებას მეორეზედ, მაგრამ ავადმყოფი-კი ვერ განუკურნავსო. ვინ იტყვის, თამამია ასეთი ექიმი, მაგრამ ამას-კი ვერავინ იტყვის, რომ შორს-გამჭვრეტელი და ხელოვანი ექიმია ასეთი ექიმიო.

## წერილი რედაქციის მიმართ

თქვენის გაზეთის მე-124 და მე-130 №№-ში დაბეჭდილი იყო დეპეშა და კორესპონდენცია ოზურგეთიდგან ავაზაკთა მოკვლისა და შეპყრობის შესახებ. არ ვიცი რა აზრითა და ანგარიშით, როგორც დეპეშაში, ისე კორესპონდენციაში მომხდარი ამბავი არევ-დარევით და მასთან გაზვიადებით იყო აღწერილი. ამიტომ ნება მიბოძეთ ეგ „ნებითი თუ უნებლიეთი, ცნობითი თუ უმეცრებითი“ შეცდომა კორესპონდენტისა გავასწორო და მკითხველთა წინაშე სიმართლედ გასაღებული სიცრუე გავაბათილო. აი მოკლედ ის ამბავი, რომლის გამოც ბ-ნი „დამსწრეთაგანი“ იმდენ აბდა-უბდასა და წილა-დობილას მოედვა.

13 ამ თთვისას ბასილეთის მამასახლისს თავართქილაძეს შეატყობინა იმავე საზოგადოების მკვიდრმა მეგრელიძემ, რომ ავაზაკნი გითვალთვალებენ, უნდათ დრო შეგირჩიონ და როცა სახელმწიფო გარდასახადს შეჰკრებ და გასაგზავნად დაამზადებ, თავს დაგესხან და წაგართვანო. ამასთანავე მეგრელიძემ მამასახლისს ის ადგილი უჩვენა, სადაც ავაზაკნი ბინადრობდნენ. ამ ამბავზედ მამასახლისი მოაჯდა ცხენს, მოიჩქარა ოზურგეთში და ყოველივე მოახსენა მაზრის უფროსს. ამ უკანასკნელმა მიბრძანა შემეკრიბა მდევარნი და დაუყოვნებლივ წავსულიყავით ბასილეთში. ეს იყო ღამით. მეც რადგანაც მეტი ჩარა არ იყო, საჩქაროდ შევადგინე მდევართა დასი, რომელშიაც მოჰყვა რამდენიმე კაცი ბოქაულის ფიცხელაურის მიერ შედგენილ რაზმიდამ, რამდენიმე საერობო დრაგუნი, ბასილეთისა და გურიანთის მამასახლისები, ბახვის მამასახლისის მოადგილე (კანდიდატი), ხუთიოდ ბასილეთისავე მკვიდრი და ერთიც „დესიატსკი“ ოზურგეთისა. გარიჟრაჟი იყო, როცა გაოფლებულ-გაჭარხალებულნი (ოცი ვერსის მანძილი ოზურგეთიდამ ბასილეთამდე ქვევითად გავიარეთ, ანუ, უკეთა ვსთქვათ გავირბინეთ) ბასილეთს მივაღწიეთ და შემოვერტყით იმ სახლს, სადაც ავაზაკნი გვეგულებოდა. რადგანაც არ დაგვნებდნენ და თოფის სროლა დაგვიწყეს, ჩვენც, რასაკვირველია, თოფები დავუშინეთ, რის შედეგიც უკვე იციან „ივერიის“ მკითხველებმა. სალუქვაძე და ამაღლობელი მოკლულ იქმნენ, ღონტი შევიპყარით, ხოლო მიქელაშვილი, ჩვენდა სამწუხაროდ, ხელიდგან წაგვივიდა. ამ ნაირად კორესპონდენციაში თუ ვინმე სახსენებელი იყო პირველად, ბასილეთის მამასახლისი და მეგრელიძე უნდა ხსენებულიყვნენ, რადგანაც იმათ მეოხებით შეიტყო მთავრობამ ავაზაკთა ბინა. ჩვენში ეგ არის ძნელი, თორემ სამისა და ოთხის კაცის დამორჩილება რა დიდი საქმეა! ხოლო თუ მაინცა და მაინც ისიც იყო საჭირო, თუ ვინ იყო ამ შემთხვევაში განმკარგულებელი, ხელმძღვანელი და წეს-რიგის მიმცემი მდევართაო, მაშინ უმორჩილესი მონა უნდა ეხსენებინათ და არა სხვა ვინმე, რადგანაც სხვა რომ არაფერი, ეგრედ წოდებული «დისციპლინა» ითხოვს, რომ „უმცროსნი“ „უფროსს“ ემორჩილებოდნენ. ყოველივე ეს, როგორც ხედავთ, აინუნში არ ჩაუგდია „ივერიის“ კორესპონდენტს, რომელიც ტყუილად გვეფიცება, „დამსწრეთაგანი“ ვარო. ამბის გადასხვაფერება და ფაქტის გადუსწორება ვერაფერი ხელობაა. „ტყუილს მოკლე ფეხები აქვსო“. შეიძლება ბ-ნ „დამსწრეთაგანს“ ვისმეს გუნდრუკ-საკმეველის კმევა უნდოდა და იმიტომ შეუშალა ნახტომი. ასე იყო თუ ისე, ტყუილ-ტყუილი ამბები-კი მიაკოწიწა ერთმანეთზედ, კორესპონდენცია დასწერა და სხვა რაღა უნდა!

ღმერთმა მშვიდობა მისცეს და მშვიდობასთან ერთად მართალისა და პირუთვნელ წერისა და ლაპარაკის ნიჭიც.

ოზურგეთის პოლიციის ბოქაული
პორფირი ვაშალომიძე

28 ივნისს 1892 წ.
ქ. ოზურგეთი.

## დეპეშა

30 ივნისი

**პეტერბურგი** «კანონდებულებთა კრებულში» გამოცხადებულია: 1) შეცვლილი იქმნება ის დადგენილებანი, რომელიც შეეხება ზნეობის გამასწორებელს თავშესაფარსა და მცირე წლოვან დამნაშავეთა შენახვას; 2) იმიერ-კასპიის მხარეს მდინარე კუშკას ნაპირებზედ 218 კომლის გადასახლების შესახებნი; 3) ფინანსთა მინისტრს უფლება მიეცემა, რომ იმ დროს, როცა სახელმწიფო საბჭო დათხოვნილია, ა, სესხით ფული აიღოს იმ საჭიროებათათვის, რომელიც სახელმწიფო ხარჯთ აღრიცხვაში არ არის მოქცეულა.

28 ივნისს ასტრახანის სამკურნალოებში მიიყვანეს 145 ავადმყოფი, გარდაიცვალა 51; სარატოვში ავად გახდა 14, გარდაიცვალა 4; სარატოვისა და ცარიცინის მაზრებში კიდევ ავად გახდა 15, გარდაიცვალა 5; სამარასა და სოფ. პოკროვსკში ავად გახდა 35, მორჩა 6, გარდაიცვალა 12, კიდევ ავად არის 68; ბაქოსა და იმის მიდამოებში ავად გახდა 49, გარდაიცველა 64, მორჩა 28, კიდევ ავად არის 161. რამდენიმე კაცი ავად გახდა და გარდაიცვალა აგრეთვე სტავროპოლისა და ბოგურუსლანოვის მაზრებში. დაღესტანის ოლქში 27 ივნისს ავად იყო 43; განჯასა და პეტროვსკში ავად აღარავინ გამხდარა.

**პარიჟი.** ზღვათა მინისტრმა კავენიაკმა სამსახურიდგან დათხოვნის ქაღალდი შეიტანა, რადრან დე-

